ეშმაკის ეპოქა

ფასი 50 მ.

№ 49

1920 წ. ნოემბრის 14

თავ-დაცული.

„Мы закупорили Врангеля въ Крыму“.
(კომუნისტების ცნობა).



ლენინი (ტროტკის) ბაბ, გეთაყვა, დოხიერათ! ისე დაუტოთ თავი, რომ ვერავითარმა ძალამ ვეღარ ამოაძრონ!

(იხ. მე-16-ე გვერდი)

ომის ამბები

I ისტორიამ გაგვახამართლოს!

მთელი საქართველო მოწამეა ახალი ვერაგული თავდასხმის და ჩვენს წინააღმდეგ მუხანათური გამოლაშქრების.

მართალია, ჩვენც არ გვძინებია, მტერს გულხელ დაკრეფილი არ დავხვედრივართ და მის წინაშე ქედი არ მოგვიხრია, მაგრამ ის უპირობა, ყოველგვარ საერთაშორისო უფლებათა ჩაწიხლვა, დროს შერჩევა, რომელიც მოწინააღმდეგემ გამოიჩინა, სჭარბობს ყოველსავე ამგვარ საქციელს, დღემდე ისტორიის ფურცლებზე აღნიშნულს.

ჩვენ ვიცით, რომ მტერი მრავალრიცხოვანია, ის არ შესდგება არავითარი დაბრკოლების წინაშე, არ მოერიდება ჩვენს წინააღმდეგ არავითარ საშუალებას ოღონდ კი თავისი გაიტანოს, ჩვენ გაგვანადგუროს და მით გზა გაიკაფოს იქითკენ, საითაც მისი ველური ურდოები მიისწრაფიან.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ვიცით რომ ჩვენ გვესხმიან, რომ ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ და ეს გარემოება ასალკლდევებს ჩვენს მცირე რიცხვოვან გუნდებს. ჩვენ არავის არაფერს ვედავებით; არ გვინდა არც სახელი, არც სახრავი ვისიმე და მით უმეტეს იმ თავხედი მტრისა, რომელიც ასე მოულოდნელათ აღიმართა ჩვენს ჰორიზონტზე.

ხელთათმანი გვესროლეს და ჩვენც ავიღეთ*). ამიერიდან ჩვენსა და ჩვენს ისტორიულ (თუ ისტერიულ) მტერთა შორის დაწყებული სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ან ერთი მხრის დამარცხებით, ან მეორე მხრის გამარჯვებით უნდა გათავდეს. სხვა გზა არ არის.

ან ქართული ჰუმორი, ან ქართული ფუტურიზმი!

ბრძოლის ველზე განგმირული უნდა დაეცეს ორში ერთი: ან „ეშმაკის მათრახი", ან „ბარიკადი".

ჩვენ ეს ბრძოლა თავს მოგვახვიეს წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა და ამიტომაც იმ დაღვრილი მელნის პასუხის მგებლობას, რომელიც ამ ბრძოლას უნდა მოჰყვეს, ვაკისრებთ ჩვენს მოწინააღმდეგე მხარეს.

II ვინ გვებრძვის ჩვენ?

მტერი, რომელმაც ჩვენი გასრესა მოინდომა, არის ფუტურეთი. ეს კარგა მოზრდილი ქვეყანაა, თუმცა გადაშენების გზაზე უკვე დიდი ხანია რაც შესდგა. ფუტურელები, ანუ „ყანწელები", როგორც ისინი თავის თავს ეძახიან, ძლიერ მკვეხარა, მეტიჩარა, თავგადებული და, ასე ვსთქვათ, მატრაკვეცა ხალხია.

ფუტურეთი რესპუბლიკანური ქვეყანაა, მაგრამ, როგორც ყველაფერი ფუტურისტული, მათი რესპუბლიკაც ერთობ ახირებულია: იქ ყველანი მეფეები არიან. ფუტურისტი უთუოდ მეფე უნდა იყოს. უბრალო მომაკვდავთათვის ეს გაუგებარი იქნება, მაგრამ ეს ასეა. იტყვის მაგალითად ფუტურისტი ონჩოპეტრე: — მე მეფე ვარ! მორჩა და გათავდა. ის უკვე მეფეა. იმას ველარავინ ვერ დააჯერებს, რომ ის მეფე არ არის.

თქვენ მოგეხსენებათ, თუ როგორ უპირთ მეფეებს ცალ-ცალკე სამეფოებშიაც დატევა და მუდამ ერთმანეთს ეჩხუბებიან. მით უმეტეს გასაკვირი უნდა იყოს ერთ პატარა ფუტურეთის რესპუბლიკაში ამდენი „მეფის" ერთად მოთავსება. ალბათ ამით აიხსნება ის მეტის მეტათ ხშირი თავპირის მტვრევა, რომელიც ფუტურისტთა შორის სწარმოებს.

ქვეყანა ფუტურისტებისა დაბლობი, ნოტიო, თითქმის ჭაობით მოცულია და რომ უყმურის ბაცილებმა არ დაჩაგროს მათი ორგანიზმი, ფუტურისტები განსაკუთრებული მისწრაფებით ეტანებიან ალკოჰოლს. ამ ჭაობიდან მათ დიდი ხალისი აქვთ ოლიმპის ან პარნასის მაღლობისაკენ გასეირნებისა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ მოგზაურობის დროს ფუტურელებმა ჩვენს, ჰუმორის, სახელმწიფოზე უნდა გამოიარონ. ვინაიდან ოლიმპის აგარაკზე ძლიერ ცოტა ადგილია, და აგრეთვე პარნასზედაც, რასაკვირველია, ჩვენც დიდის შერჩევით ვუშვებთ ხალხს იქითკენ. ეს ქართული პანთეონი როდია.

ფუტურისტებმა ამ ათიოდ წლის წინეთ მედგარი იერიში მოიტანეს დასავლეთის მხრიდან ჩვენს რესპუბლიკაზე; მათი მიზანი იყო ფრონტის გარღვევა, მთელი რაზმით ოლიმპზე ასვლა და იქ გამაგრება.

იერიში დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნა და ფუტურისტთა ხელმძღვანელნი მეფე პაოლო იაშვილი და მეფე გრიგოლო რობაქიძე შესაფერი ტრანსპორტით სპარსეთის ფრონტისაკენ გაემგზავრენ.

მიუხედავათ მათი ასე სამარცხვინო დამარცხებისა, ჩვენ მაშინ არ მოგვითხოვია არც ანექსია, არც კონტრიბუცია. ჩვენ გვასულდგმულებდა მხოლოდ იმედი, რომ ფუტურისტები იკმარებდენ იმ სანიმუშო გაკვეთილს და ახალ ავანტიურას არ გამოიწყებდენ. ეს ჩვენი სამართლიანი მოლოდინი არ გამართლდა.

III ახალი ხერხი ფუტურისტებისა

სპარსეთის ფრონტიდან დაბრუნებულნი მეფე პაოლო და მეფე გრიგოლი, კვლავ შეუდგენ თა-

*) ნეტავ შენი ღვთის გულისათვის ჩექმებიც და კალოშებიც ესროლათ, დიდის სიამოვნებით ავიღებდით.

ეშმაკი.

ვისი დაშლილი რაზმების დაწყობას. ისინი კარგა ხანია ფარულათ ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ; ჩვენი კონტრ-რაზვედკა საკმაოდ იცნობს მათ განზრახვებს.

ფუტურეთის ჭაობში მათი ჩარჩენა ერთობ არა ხელსაყრელსა და სასაცილო მდგომარეობას ქმნის მეფეთათვის. ასე, თუ ისე მათთვის აუცილებელია ოლიმპის, ან პარნასის მწვერვალებისაკენ გზის გაკაფვა. ძალით ეს შეუძლებელი გამოდგა, ჭკუა მათ არ აღმოაჩნდათ და მოისურვეს ჩვენი დამოყვრება. ეს ძველის ძველი საშუალებაა, როცა ბატონიშვილებს მზითვად სამეფოს ნაწილებს აძლევდენ.

ამ რამოდენიმე კვირის წინათ ფუტურისტმა მეფე პაოლო იაშვილმა გვთხოვა ქალი.

— მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე მსურს შევირთო თქვენი ქალი, ქალბატონი თამარ მეფეო.

მოგვწერა მან სწორედ ამ ლექსით და თანვე მეტის სიდინჯისათვის დასძინა.

— ამასთანავე გაფრხილებთ, რომ მაყრათ უთუოდ ერეკლე მეფე უნდა გამოჰყვეს-ო!

ეს მოხსენება გააკეთა მან წერილობით, ხოლო სიტყვიერად მეფე კოლაუ ნადირაუს პირით შემოგვითვალა:

— მე და ჩემს დედოფალს ილია წინასწარმეტყველის ეტლი უნდა გვიშოვოთ ჯვრის საწერათ წასვლის დროს, ხოლო ჩემი დასაჯდომი მამა (ესე სთარგმნა მეფე კოლაუმ Посаженый Отецъ) მეფე გრიგოლ წმინდა გიორგის რაშზე უნდა შესვათო".

თავის მხრივ მეფე კოლაუ ნადირაუმ დასძინა:

— აუცილებლივ საჭიროა, ქორწილზე იესო ქრისტეს დასწრება, რომ წყალი ღვინოთ გადააქციოს, როგორც ეს კანას მოიმოქმედა, თორემ ამდენ მეფე ფუტურისტს რა ღვინო ეყოფა, თითოეული ჩვენგანი ბოჰემა არის და თამადათ დაბადებულიაო".

IV საგანგებო კრება.

ამ წერილმა და მზაკვრულმა მომართვამ დიდი კამათი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის მმართველ წრეებში. მყისვე მოწვეულ იქმნა საგანგებო კრება თავდაცვის კომიტეტისა.

კრებამ საკითხს პირდაპირ თვალებში შეხედა და აშკარათ დაინახა ჩვენი ფარული მტრების განზრახვა.

თავგუნა უნდა გამოგიტყდეთ, ამხანაგებო, რომ მე ცოცხალი თავით ვერავის დავანებებ თამარ დედოფალზე ჯვარი დაიწეროს. ის, ვინც მეფის სახელით ჩვენ გვევლინება, ნამდვილათ უბრალო გაფხეკილი იმერელი აზნაურია, ტომით ფუტურისტი. იმის ხელში ჩვენი ქალი ტანჯვისა, ჩხუბისა და აყალ-მაყალის მეტს ვერაფერს ნახავს. ჩემის აზრით უმჯობესია ჩვენი დედოფალი ქვრივათ დარჩეს, ვიდრე ასეთი მატრაკვეცისა და იხტიბარ გატეხილი ფუტურისტის ხელში ჩავარდეს.

მორიელი. ამ კითხვის გადაწყვეტა, მეგობრებო, მარტო ჩვენზედ არ არის დამოკიდებული. საჭიროა თვით თამარ დედოფალს ეკითხოს, სურს თუ არა მას მეუღლე გახდეს მეფე პაოლო იაშვილისა. თუ ის თანახმა იქნება, ჩვენ მადლიერი უნდა დავრჩეთ, ვინაიდან ამით მოსალოდნელ ომს ავიცილებთ თავიდან.

მე უფრო მაღონებს მეორე საკითხი. გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ წმინდა გიორგი თავის თეთრას არას გზით არ ანდობს გრიგოლაუ რობაქიძეს.

ეშმაკი ამხანაგებო! ჩვენ ილიუზიებს თავს ნუ მივსცემთ და ჩვენის ნებით თვალებს ნუ დავიბნელებთ. ცხადია, თუნდაც მივათხოვოთ იმ შეშლილ ხალხს ჩვენი ქალი, გინდა მაყრობაზე დავითანხმოთ ერეკლე მეფე, ვუშოვოთ ილიას ეტლი, წმინდა გიორგის ცხენი და თავზედ სასხამი ღვინო, ჩვენ ფუტურისტებთან ომი მაინც არ აგვცდება. იმათი განზრახვა აშკარაა: მათ უნდათ ჩამოსიძებით დაგვიმოყვრდენ და შემდეგ გვთხოვონ გზა მათი ფუტურეთის ჭაობიდან ოლიმპის, ან პარნასის მაღლობისაკენ ასასვლელათ. მე ვიცი თქვენი აზრი ამ მოგზაურობის შესახებ. არც ერთი ჩვენგანი იმ მთაზე არ აუშვებს თუნდაც ერთ ფუტურისტს, ვიდრე ის ამას არ დაიმსახურებს. ამას ვერ უშველის ვერც ჩვენთან დამოყვრება და მაშასადამე შეტაკება მაინც მოგვიხდება. ნუ გვინდა ომი, მაგრამ ვემზადოთ ომისათვის.

ერთხმად გადაწყდა უარი ეთქვას მეფე პაოლო იაშვილს თამარ დედოფალზე, ხოლო ამის შესახებ შესაფერი ნოტის დაწერა მიენდოს თაგუნას.

V თაგუნას ნოტა

„მათ უდიდებულესობას მეფეთ მეფეს გრიგოლაუ რობაქიძეს და მეფე პაოლო იაშვილს.

„პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ერთხმად უარყო თქვენი წინადადება. ჩვენს ქალს, თამარ მეფეს, ვერ მოგათხოვებთ. თქვენი მწვავე კრიზისის შესამსუბუქებლად ჩვენი მთავრობა მეგობრულ რჩევას გაძლევთ მიმართოთ ყველასაგან პატივცემულ დავით კლდიაშვილს, თუ პირადათ გრცხვენიათ, სერგო კლდიაშვილის საშუალებით და სთხოვოთ ქ-ნი კაროჟნას ხელი. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ორნი მზესა და მთვარესავით შეაბერდებით ერთმანეთს, ამ ქვეყნათაც ბედნიერი იქნებით და საიქიოსაც. ჩვენი ქალი თამარი არ არის თქვენი შესაფერი: სწავლა არსად მიულია, აღ-

ზრდილია შოთა რუსთაველის უნიჯო ლექსებზე და თან მზითვიც არაფერი აქვს.

უკეთუ თქვენ პატივცემულ დავით კლდიაშვილთან მოლაპარაკება გაგირთულდებათ, ჩვენი მთავრობა პირობას სდებს თავდებათ დაგიდგეს და ამით დაგითანხმოს კაროჟნას ჯირისუფალი.

პატივისცემით **თაგუნა**.

ჩვენმა ნოტამ მორიელის მიერ დასახულ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ჩვენი მეგობრული რჩევა-დარიგება მტერმა დაცინვად მიიღო და აღარ დააყოვნა ჩვენს წინააღმდეგ გაფთრებულ იერიშით წამოსვლა.

სამკვდრო სასიცოცხლო ომი დაიწყო.

ისტორიკოსი.

(შემდეგი იქნება).

---

* * *

ცივი უდაბნო. სისხლის სეტყვა. ასპიდის თვალი...
მზის მღელვარებამ შეაშფოთა ზანტი ხმელეთი.
ბებერ ალბიონს ყურს აუწევს აღმოსავლეთი,
და ტროკის ცეცხლით ყინულს დასწვავს
ცელქი ქემალი.
ნაადრევ ზამთრის ცივი სუნთქვა აწვება კარებს.
ბათუმის ბეესთან მახვილს ლესავს ძველი სალახი.
გიორგი ამბობს: „მიგვაკლდება ჩვენ წელს ბალახი“...
და ტრაპიზონში ერეკება ლურჯ-თვალა ხარებს.
ქრისტემ მაჰმადი გადაკოცნა, ალაჰმა ღმერთი.
საკუთარ შვილთა სისხლში სცურავს ნორჩი
სომხეთი...
და უილსონი თბილ ლოგინში ტკბილათ ამთქნარებს.

d.

ზარი

ადვილი წარმოსადგენია იმ კაცის მდგომარეობა, რომელსაც აქვს საკუთარი კაბინეტი, ჰყავს კარის დარაჯი, რომელიც ზარის მცირე დარაწკუნებაზე მზათ არის ყოველ გვარ განკარგულების შესასრულებლად და არა აქვს ზარი!

სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იყო დავით კოპალი, როცა მის კაბინეტში გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ლადი დოლბაია და ბათალიონის უფროსი გრიგოლ კვაშალი შეეიდენ.

— ბ-ნო ლადი! იქნება გეგულვებათ სადმე ერთი ზარი. პირდაპირ შეუძლებელია უზაროთ მუშაობა. შესჩივლა კოპალმა ლადი დოლბაიას.

— ზარი არის, მაგრამ ძნელი საშოვნია—მცირედი ჩაფიქრების შემდეგ სთქვა გრ. კვაშალმა.— სამტრედიაში ერთი დანგრეული ეკლესიაა, იქ უნდა იყოს დარჩენილი. მაგრამ მოგეხსენებათ „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო“ და იმ ზარსაც ეშმაკის ნებადაურთველად ვერ ვიშოვნით.

— რის ეშმაკი, კაცო, ეხლავე რეკვიზიციას უზამ. ხუთ წუთში რეკვიზიციის ორდერი მზათ იყო და საგანგებო მატარებლით დავით კოპალი გაემგზავრა სამტრედიაში.

ჯერ ჩაქვში არ იქნებოდა მატარებელი მისული, რომ მთელი სამტრედია ფეხზე იდგა. ქალაქის თავს სიმწრის ოფლი ჩამოსდიოდა. მთელი ქალაქი შემოირბინა, მაგრამ მთარგმნელი ვერ იშოვნა. მთარგმნელის შოვნა მით უფრო ძნელი იყო, რომ არავინ იცოდა რა ენაზე ილაპარაკებდა კოპალი.

გ. დუნდუა ამტკიცებდა, რომ კოპალი ბელგიური გვარია და მაშ ფრანგულათ ილაპარაკებსო. სხვების აზრით კოპალი ინგლისურათ ილაპარაკებდა.

მესამე დღეს როგორც იქნა საგანგებო მატარებელმა მიაღწია სამტრედიას. სადგური ძველ გირლიანდებით და ნახევრათ გამხმარ ფოთლებით იყო მორთული. ვიღაც ცხობის მოყვარე ვაგონის თავზე გასულიყო, წამოეხურა თავზე შალი და მოწამებრივი მოთმინებით უცდიდა კოპალის მოსვლას. წვიმა კი კოკისპირულათ ასხმდა.

როცა მატარებელი ხიდს გაუსწორდა კოპალმა გამოჰყო თავი ფანჯარაში. მისი ყურადღება მოზღვავებულმა ხალხმა მიიქცია, რომელიც საშინელი თავგანწირვით იწუწებოდა წვიმაში.

კოპალი მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე.

— ღმერთი ადამიანს რომ მჭერმეტყველების ნიჭს მისცემს, შემთხვევასაც მისცემს, რომ ეს ნიჭი გამოიყენოს—სთქვა კოპალმა და მოემზადა სიტყვის სათქმელად. მატარებელი გაჩერებული არ იყო, რომ მისი მჭექარე ხმა ორთქლმავალის ქშენას ეჯიბრებოდა და ლამაზათ, მწყობრათ დალაგებული სიტყვები ნაზი ალერსით ეფინებოდა სამტრედიელებს, რომელთა სახეები წვიმაში გაწუწულ კითხვის ნიშანს მიჰგავდა.

— ბატონებო! თქვენს წინაშე სდგას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელი, სართაშორისო სოციალისტურ მოძრაობის ბელადი, მხცოვანი კარლო კაუცკი. მე ვგრძნობ თქვენს სულის კვეთებას, როცა ასეთ ამინდში შეყრილხართ და ღიმილით ეგებებით ძვირფას მასწავლებელს. და როდესაც ეს სურათი დაუღალავ მუშაკის გერ. გოგიტიძის მიერ ლენტზე გადაღებული (ხელით უჩვენა ვაგონზე მდგომ შალ მოხვეულ კაცზე) შემოივლის მთელ საქართველოს და ევროპას, მსოფლიო პროლეტარიატი მიხვდება თქვენს გულის ნადებს. გაუმარჯოს ამ ხანაგებო ჩვენს მასწავლებელს კარლო კაუცკის! ვაშა!

— ვაშა! იგრიალა ხალხმა. კოპალი კი გადახტა ვაგონიდან და გასწია ქალაქის თავისაკენ.

— მომილოცავს დღესასწაული,—მიმართა კოპალმა თავს. ძლიერ მოხარული ვარ, რომ სამტრედიასაც ეწვია ჩვენი საყვარელი მასწავლებელი. მე შემთხვევით გავიგე და მაშინვე გამოვექანე თქვენსკენ.

— სად არის, ბატონო, კაუცკი? გაუბედავათ ჰკითხა სამტრედიის თავმა.

— როგორ თუ სად? განა აქ არ არის?

— არა ..

— მაშ ეს ხალხი? ეს გოგიტიძე?..

— ის გოგიტიძე კი არა, ჩვენი დარაჯის ცოლია, საყურებლათ გავიდა ვაგონზე, ხალხი თქვენ დასახვედრათ შეიყარა...

ხალხი კი განაგრძობდა ვაშას ძახილს და მოუთმენლად ელოდა კაუცკის ვაგონიდან გამოსვლას.

— საკვირველია, სწორეთ! მეკი მეგონა, რომ კაუცკი ჩამოვიდა...

— თქვენ რაისთვის შეწუხდით.

— მე ისე გამოვისეირნე...

— ძალიან სეირნობაა, თქვენი ჭირიმე ამდენი ხალხი მუშაობას მოცდა, ამ წვიმაში დავიწუწეთ,—ჩაილაპარაკა გიორგი დუნდუამ.

კოპალი ჩაჯდა მატარებელში და გაბრუნდა ბათომისაკენ.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

— დედა, რომელი იყო კაუცკი?—კანკალით ეკითხებოდა ბავშვი დედას.

— რომელი შვილო და სიტყვა რო სთქვა.

— რა ახალგაზდა ყოფილა! მერე, დედა, ღვდლის ქუდი რატო ეხურა?

— ასეთი მოდაა, შვილო, გერმანიაში.

მატარებელი ჩაქვში იყო, როცა კოპალს ზარი გაახსენდა.

— დასწყეველოს ღმერთმა. ამდენი აურ-ზაური გამოვიწვიე და ზარი მაინც წამომეღო. Чортъ знаетъ, что такое!

და დღესაც უზაროთ ზის დავით კოპალი თავის კაბინეთში.

სამტრედიელებს კი ჰგონიათ, რომ კაუცკი ნახეს და კმაყოფილნი არიან, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიას ასეთი ახალგაზდა ბელადი ჰყოლია.

გრ. სლუჩაინი

გათუმელის ტირილი

(საამდროვო ვინიგრეტი)

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
მილიცია ქურდს იჭერდეს
მართლებს კი არ ახურებდეს.

ჭკვა უხმარ არის ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების,
უჩვენეთ ბარიკადელებს
ყვითელი სახლის კარები,
„ჩუმა“ არ არის გულადი,
ზურგიდან მოიპარების.

—

ნეტავი რადმე მაქცია
ბულბულათ გადამაქცია,
რაც ჭაობებში წყალია,
სულყველა ღვინოთ აქცია.

—

გამიქვავდეს მე ეს ენა
თუ რომ ვისმე მივეფერო.
ჩვენი დათიკა ხელაძე
სწორეთ გახდა სანაწერო.

—

რა არის ჩვენი სიცოცხლე.
სხვისი არ გვესმის ტკივილი,
წავიდეთ ცირკში, ვიხილოთ
ზაგარუიკოს ჭიდილი.

—

ირემო, მთასა მყვირალო,
რათ ჩამოვარდი ბარადა?
მუშათ მაგიდის შესახებ
უნდა დავწერო შარადა.

—

ორმოში ფეტვი ჩავყარე
შესანახადაო,
პურს პური ჰქვია სახელად
— შესახედადაო.
ორმოდანა ამოვყარე
გასაშრობადაო,
ხუთი გირვანქა არ მყოფნის
გასაძღომადაო.
ღობეზე ჩიტი შემოჯდა
ასაკენკადაო,
პურსა ნაგავი რათ უნდა?
— მისაჭმელადაო.

—

იზარდე მწვანე ჯეჯილო
დაპურდი გახდი ყანაო,
ვერ შობა ჯიმა კომუნა,
მუცელმა გადიტანაო.

—

დადეგ წყალო და მიამბე,
სად ვინ რა დაგაბარაო,
თათრებმა ყარსი აიღეს—
ჩვენთვის არ დარჩეს ბალაო.

—

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი..
ოსმან, ერიდე ქართველებს
დაგიწყებს მუცლის ტკივილი.

—

ბიჭო ვისი ხარ მალხაზი
დაურჩი დედაშენსაო,
შენი რაც ერი წაიღე
ნუ შეეხები ჩვენსაო.
ხვალ გავაგძელებ შემდეგსა
ესეც გვეყოფა დღესაო.

გრ. ბათუმელი.

მოვალეობა

თედო ხმიადაშვილის მხნეობა მთელ სოფელში განთქმულია. შრომა მას არ ეზარება და გარჯა. გლეხი კაცის პირობაზე თედოს წინ ვერავინ დაუდგება: ლხინშიაც დიდი იმედია კაცისა და ჭარშიაცა! კიდევაც ამიტომ ჭწუალობს დმერთი და მისი ოჯახი ნაადგ სავსეა ბურ-ღვინითა.

აი, წლეულაც! იმოდენა ჭინახული მოიწია თედომ, რო ათმა ოჯახმა რო ათ წელიწადს ჭჭამოს, ათი წლის სარჩო კიდევ დარჩებათ!

ჭო და, აი, ამ თედოსა, სულ ხუთი დღეც არ იქნება მას აქეთ, ერთი ამბავი შეემთხვა.

სახლში იყო და ხორბალსა ჭერიდა შესანახად. თან მუშაობდა და თანაც ფიქრებში იყო გართული:

— ე რა ბედენაა!—ჭფიქრობდა თედო: ამბობენ, მთავრობამ ბრძანაო, სოფელმა ბური უნდა გამოიდოს სახელმწიფოსთვისაო. გამოდის, რომ, მე რო სწუალი გლეხი კაცი ვარ, ჩემი ოფლითა და შრომით მონაგარი მთავრობას უნდა გაუნაწილდო. რა ჩემი სამაწუალო ეჭირვება მთავრობასა? ხახინა იმის ხელთ არის, იქრო და ვერცხლი. მე მისგან მოველი შველას და ის მე უნდა მართმევდეს სარჩოსა?! ეს სადაური სამართალია, რა ვქნა? მართალია მუქოთ არ მიაქვთ, რიგიან ფასსაც იძლევიან, მაგრამ თუ მე არ მინდა გაყიდვა? განა გლეხი კაცი რო ვარ, იმოდენა ჭკვა კი არა მაქვს რო უბრალო რასმე მიხვდე: თუ დღეს ეს თუმნის მაძლევენ ფუთ ბურში, გაზაფხულზე ხო სამსასაც მამცემენ! არაო, გინდა თუ არა, უნდა ეხლავე გაყიდოო!..

ამ ფიქრებში რო იყო გართული, ვნახოთ უცებ თვალი მოჭკრა:



ეზოს ღობესთან ვიღაც ორი კაცი მომდგარიყო და უთვალთვალებდა. ისეთი სახისანი იყვნენ და თვალებს ისე აბრიალებდნენ, რო თუმცა თედო მშიშარა ბიჭი არ არის, ტანში მაინც ჟრუანტელმა დაუარა.

— ფუი, ეშმაკსა! - გაიფურთხა თედომ: ეს ვინ მოთრეულან ჩემს კარ-მიდამოზე! ზედვე ეტყობათ, კარგი ვინმეები არ უნდა იყვნენ! ნეტავი რა უნდათ აქა?

ცოტა კიდევ დაუცვირდა, იცნო და უფრო აუძგერდა გული შიშისაგან: ერთი რუსი კომუნისტი იყო, მეორე კი თათარი.

— აი, ხათაბალა თუ გინდა, ეგ არი!—გაიფიქრა თედომ: ჩემმა ჯალაბმა არ დაინახოს, თორე შიშისაგან უფალს გულები დაუსვდებათ!

ამ დროს, სად იყო, სად არა, თედოს გვერდით აკი ჩვენი ჯარის კაცი არ გაჩნდა, ბეჭანთა ვასუა!



— ბიჭო, ვანუ! — შესძახა გახარებულმა თედომ: ე, რა ბედზე გამომიგზავნა დმერთმა შენი თავი? დახე, ეგერ ვინ არიან? ერთი ე ხაშტი შენებურათ მიაყოლე მაგ მაიმუნებსა, რომ მეორეთ ვედარ გაბედონ სხვის კარმიდამოზე ხეტიალი! აბა, ერთი შენებურათ, შენ გასრდას!

რუსმა და თათარმა სული გატრუნეს და იქვე ჩაიმალნენ დობის ძირას.

ვანუა, თითქოს არც კი გაეგონოსო თედოს სიტყვები, უძრავათ იდგა ერთ ადგილას და ბასუხიც კი არ გასცა თედოსა.

— არ გეეურება, ბიჭო? აუწვი რადა, მაგ მსუნაგებსა! — კვლავ გაუმეორა თედომ.

— რათაო? — დინჯათ ჰკითხა ვანუამ და არც კი მიიხედა დობისაკენ.

— როგორ თუ, რათაო? ვერ დაინახე, როგორ ს თვალ-თ იტყვრებოდნენ? თითქოს ცოცხლივ შეჭმა უნდა-თო! — უთხრა გაკვირვებულმა თედომ.

— მერე მე რა? შეჭმა უნდათ და შეჭამონ, რა! — ისე გულ-გრილად უბასუხა ვანუამ, თითქოს ქართველი ჯარ-ს კაცი და ბეჭიანთ ბიჭი კი არა, სამტრიდ მოსული ვინ-მე ეოფლიყოს.

თედოს ბერი გაუშრა და ენა დაება ამის გაგონებაზე.

რუსმა და თათარმა კი ისევ თავები წამოჭყვეს და უფრო მსუნაგის თვალებით დაიწყეს თედოს სახდ კარ-საკენ ტკერა.

— ბიჭო, შე უდმერთოვ! ე, რეები სთქვი! — ძლივ წაიდუდღუა თედომ, ტოტალი რომ გონს მოვიდა: ემაგ თოფ-სა და იარაღს მა-ნც არ არეხენდე! ქართველი ჯარის კაცის სახელს მაინც არ ათუჭებდე!.. ვოქვათ, ბეთი უბუ-ლო და უგრძნობი გახდი, რომ ქრისტიანი კაცი ადარ გებრალება, შენი მოყვლეობა მაინც მოიგონე! — გაცხარდა თედო.

— მერე შენ კი მოიგონე შენი მოვალეობა?—ისევ იმ კილოთი ჩეკითხა ვანუამ. თედო ჩუმად იყო: ვერ მიმხვდარიყო რა მოვალეობას ჩეკითხავდა ვანუა.—რას გაჩუმებულხარ?.. მითხარი, რადა!

— არ ვიცი რა მოვალეობას მეუბნები და რა გაითხრა?—დაბნეულად მიუგო თედომ.

— არ იცი? ჩემი მოვალეობა კარგათ გცოდნია, შვილოსა! რატომ შენი ადარ იცი? კარგი! ეური დამიგდე და მე გეტყვი. ჯერ ეს მითხარი: რა არის ჩემი მოვალეობა?

— რა არის და მტერთან ბრძოლა,—უპასუხა თედომ.

— მერე მშიერ კაცს შეუძლიან მტერთან ბრძოლა?

— მაგას ვინ გეუბნება, მშიერმა იბრძოლეთ! გამოძეღ და ისე იბრძოლე?

— კარგი, მაგრამ სიადან უნდა გამოვიღე? ვინ უნდა გამომაძღოს?

— ვისა და მთავრობამ!

— მერე, მთავრობას რო ბური არა აქვს?

— იშოვოს, რა!

— შე კაი კაცო, რაც მიწა-წყალი იყო, სულ შენ და შენისთანებს დაურიგა და ქალაქის ქუჩებზე ხომ ვერ მოიყვანს ბურსა?—ჩეკითხა ვანუამ.

— ფული აქვს და შეიძინოს, იყიდოს. განა ტოტა საშუალებაა, რომა!..

— იყიდოს! შენ აგაშენოს დმერთმა! იმ გამგელებულ შეზობლებისაგან ხომ არ იყიდოს, ეგერ შენ სახლკარს რომ მოსდგომიან გბილების კაწკაწით და ჩაყლაბვას უქადიან. აბა მითხარი, ვისგან უნდა იყიდოს?

თედო ჩუმად იდგა.

— სთქვი, რადა, ვინ უნდა მიჰყიდოს მთავრობას ბური ჩვენთვის, ქაროველი ჯარისათვის? ენა დაგება, განა? ესლაც ვერ მოიგონე შენი მოვალეობა?

თედო ისევ ჩუმად იყო.

— ჩოდა ეხლა ეური დამიგდე: შენ ოთთონ დაუფიქრდი შენს ეოფასა და გადასწერ: რა არის შენთვის უფრო სარფა: შენი მოვალეობის ასრულება და მთავრობისათვის ტოტა ბურის გაღება, თუ ამ ხორბლის შენახვა და მთავრობისათვის უარის თქმა? დაუფიქრდი და ოთთონ გადასწერ!

თედო დაუფიქრდა. მარცხნივ მგლები იდგნენ ღობესთან და თვალს არ აშორებდნენ თედოსა და მის სახლკარს, მარჯვნივ კი ვანუა ჯარის კაცი გაჩერებულიყო და თედოს ბასუხს ელოდა.

თედო ჩფიქრობდა:

— ე რა ბლეს გადაეეკიდე?! რო ადარ ვიცი, როგორ მოვიქცე? სწორედ საშიდაბრო ამბავი შეშემთხვა—„წახვალ ინანებ! არ წახვალ მაინც ინანებ“! მივცე ბური მთავრობასა—ვინანებ—გაზათსულზე უფრო ძვირათ გარგუადდი .. არ მივცე და—მაინც ვინანებ: ე ეერანა ვანუა ამ მაიმუნების ადარ მომაშორებს. ეხლა სქმე ის არის ოდის ვინანებ უფრო: რო მივცე, თუ რომ არ ვივცე? ვოქვათ, არ მივეცი ბურიმ თავრობას, —ჩფიქრობდა გულში, თედო: ვანუა არხეინად გაუდგა გზასა და ჩემი თავის ანაბარად მიმატოვა.



შემოიშრნენ ეს ნადირები... მე ამ ხის ტოტზე დამკიდეს და ჩამომარჩეს. ე ჩემი ბური კიდენა ურემზე დაუდეს და გაალაღეს...



ჩემი ნიშა და ნიკორა გაჭრეკეს...



ჩემ სახლ კარს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს... ცოდ-შვილი ტყეში გაიქცა უპატრონოდ... მე კი ფიდვარ ხეზე ცეცხლდ მოდებულ სახლის გვერდით და ვქანაობ!... აი დაჭეშეფლოს ღმერთმა! მარტო ფიქრისგანაც კი ურუანტელი მივლის ტანში და მუხლები მეკეტება!..

— ეხლა, გთქვათ, მიგე ბური მთავრობის... ისევ ჭიქრობდა თედო: მე ჩემი სამეოფი და კიდევ შეტიც მაინც დარჩება... ჭო და, მივეტი ბური მთავრობისა...



... ეს ვინუა მაშინვე მოტრიალდება, ვეფხვივით გაშოუდგება იმ მსუნაგებსა და დედას აუტირებს...

... ჩემი სახლ-კარი ხელუხლებლად დამრჩება. მეც სიდსალამათად ვიქნები და ჩემი ჯალაბიც დავტრიალდებით ჯარასავით და მემრისს ერთი-ხუთად ავინაზღაურებთ იმ რადაც ხუთიოდე კოდს, მთავრობა რო იყიდის.

(იხ. შემდეგი გვერდი.)

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ფსევდონიმი **„კინჭობაძე“** მე არ მეკუთვნის.

პატივის ცემით: **ტ. ღლონტი**

რედაქციისაგან ეშმაკის მათრახის რედაქცია ამოწმებს, რომ აღნიშნული ფსევდონიმი ტ. ღლონტს არ ეკუთვნის.

დავსხდებით ორხეინათ, გვერდით ამ ვანუასაც მოვისვამთ და .. ორალე-თორიალალეეე! სიცოცხლე გაქვს, დავაგუგუნოთ!..

— ვანო ჯან, ვანო! — შესძახა თედომ ვანოს, ფიქრებს რომ მორჩა: ეხლა კი ვიცი, თუ რაც უოფილა ჩემი მოვალეობა! შენ გაგინათლოს მაცხოვარმა შენი მიცვალებულები, როგორც მე გამანათლე დღესა! ბრმა ვიუყვ და თვალები ამეხილა, ჩემმა მზემ! წაიდოს, გეთაყვა, წაიდოს მთავრობამ ე ბური! თურდაც სულ წაიდოს, ოდინდ ამ უბედურებას გადამარჩინოს.

„უბინაო სტუდენტი“

— ამხანაგო ფრთხილიაშვილო!

— რას გვიბრძანებთ?

— ოთახს რათ არ მაძლევთ?!

— არა გვაქვს. როცა გვექნება, მოგცემთ. თქვენ პირველ რიგში ხართ ჩაწერილი.

— მე ძალიან კარგად ვიცი, სადაც ვარ. თქვენ უსინდისოთ იქცევით. თითონ გამგეობის წევრები იქერთ პირველ რიგში ოთახებს!... ნაცნობებსაც აძლევთ!...

— ჩვენ უბინაო სტუდენტებს ვაძლევთ ოთახებს.

— მე მაქვს ბინა?!

— ვიცი, არა გაქვთ; მაგრამ ყველას ერთბაშათ ხომ ვერ დაგაკმაყოფილებთ?. აი ამ დღეებში გადმოგვცემენ რამოდენიმე ოთახს და...

— მერე რა?!

— მიიღებთ ..

— ვერაფერსაც ვერ მივიღებ!...

— სირცხვილია, ამხანაგო, ასეთი ლაპარაკი!

— სირცხვილი!.. აი სირცხვილი!..

და ამხანაგმა მუშტაძემ „ქართველურათ ჩაფარა“ ამხანაგ ფრთხილიაშვილს.

ფრთხილიაშვილმა არ მოისურვა „ამხანაგისათვის“ სამაგიერო „ეპმია“ და...

გათამამემულმა „გმირმა“ კარებში გასვლისას რაინდული თავმომწონებით წამოიძახა:

— ეხლა ეს იყოს, და შემდეგ კიდევ გცემთ საკადრის პატივსო!

ეს სცენა „გათამაშებულ“ იქნა სტუდენტურ სასადილოში.

მომქმედნი პირნი თავ-თავიანთ როლს ჩინებულათ ასრულებდენ.

მაყურებლებიც ჯეროვან სიმაღლეზე იყვენ: არც ერთ მათგანს ნეიტრალიტეტი არ დაურღვევია.

ასე დასრულდა „უბინაო სტუდენტის“ პირველი მოქმედება. როგორი იქნება გაგრძელება?

ცხადია: ფრთხილიაშვილი და მუშტაძე კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ მეორე და უკანასკნელი მოქმედების მთავარ გმირებათ ისინი, როგორც დანამდვილებით ამბობენ, ვერ დარჩებიან.

ხმა ბია: აღნიშნულ ინცინდენტის გამო სტუდენტთა კავშირის მთავარი გამგეობა გაბედულ ნაბიჯს გადადგმას აპირებსო...

სტუდენტობის ფართე მასასაც განუზრახავს ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება, და ვნახოთ, როგორ დაიწერება დასახელებულ დრამის უკანასკნელი მოქმედება...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი სტუდენტობა ამ ბოლო დროს სტუდენტურ ტრადიციებზე და თავმოყვარეობაზე ალაპარაკდა. ამ საკითხების გამო ამას წინეთ გაფიცვაც კინაღამ გამოცხადდა და...

მით უფრო საინტერესოა ხილვა იმისა, თუ ვინ როგორ ადგილს დაიჭერს სცენაზე ამხანაგ მუშტაძის გვერდით...

დავუცადოთ.

მანამდე კი ჩვენ ფრიად მიზანშეწონილათ მიგვაჩნია სტუდენტთა კავშირის მთავარ გამგეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც გამგეობის თვითოეული წევრი ვალდებულია —უბრალო ქუდის ნაცვლათ გერმანული „კასკა“ ან ძველებური მუზარადი ატაროს. „კასკის“ შესახებ, მართალია, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მუზარადი რომ—მართლაც—უტყუარი საშუალებაა ისეთი ძვირფასი და საჭირო ორგანოს დასაცავათ, როგორიც არის ადამიანის თავი, ამას თვით სოლომონ ზურგიელიძეც ხაზგასმით აღნიშნავს. აი როგორ ბიმართავს ის ვერაგ მტერს ერთს თავის უკვდავ ლექსში:

წინდამ თქმა სჯობს,
მეც სახეში გეტყვი ამას:
მუშტებით თავს ვერ გამიტეხ,
მახურავს მუზარადია!..

d.

შექანჯალებულის ლექსები

როგორღაც თავი მიბრუის...
მიწა უკულმა ბრუნდება...
ტფილისს ქვეშ რეკენ ზარებსა...
გორს ცეკვა თუ მოუნდება...

—

თვალთ მიბნელდება... ქაჯები
ქუთუთოებ ქვეშ ტლინკავენ...
ბორგავენ შავი ტალღები...
მიშველეთ... თორემ ჩამთქავენ...

—

აღარაფერი არ მახსოვს...
არ ვიცი, საით მივცურავ...
თხელ ნისლს რაღაცა გარს მაქსოვს,
თფილ ორთქლით სახეს ვიბურავ...

—

რა წარმტაცია... ოჰ, დედავ!!
მძინავს... ნელ-ნელა ვერკვევი...
აქ სად მოვსულვარ?! რას ვხედავ?
ჰკუაზე ისევ ვირყევი...

—

ჰა, ჰა, ჰა, ჰა ჰა... ეს_რაა?
რა დარდუბალა, მაქნისი!..
ჰე, ძმებო! ქემალს ვეწვიოთ!
გადავდოთ ბარი, სახნისი!

—

მოდის ქემალი... ვინ უწყის
რას იზამს იქ ერევანში...
მაგრამ ივერის საზღვრებზე
მას გაუჩაღოთ რევანში.

—

რომ იწყეველიდეს თვის თავსა.
ვქნათ ბედით განაწირია...
რომ კვლავ არას დროს აღარ ქნას
ივერიისკენ პირია.

არ გვინდა სხვისი იმედი...
სხვისი ფეშქაში, ძღვენია...
ქართველს, თვის მოიმედესა
თავი არ შეურცხვენია.

—

ასე ამბობდენ ქართველთა
ფილოსოფოსნი, ბრძენები:
„თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები“.

—

დეე, აჩხავლდეს ყორნები...
და ასისინდენ გველები...
სამშობლოს თავისუფლებას
ყავს ღირსეული მცველები...

—

არ გათეთრდება ყორანი
რაგინდ რო ხეხო ქვიშითა...
არ გაწითლდება, არასგზით,
ქართველი მტრების შიშითა.

—

ჭირს შიგან მძლეთა-მძლეობა—
ეს არის ქართვლის ბუნება:—
რაც მოიპოვა ბრძოლითა,—
—ძალუძს მის შენარჩუნება...

—

რამ დაანგრიოს კარავი—
შიგნიდან გაუბზარავი?—
ძმობა, ერთობა, გმირობა—
ეს არის ჩვენი მფარავი...

—

სამშობლოს წყლულის წინაშე
თვის წყლულებს დაივიწყებსა...
ერთსულოვნობა ძალას შობს
მტრის მომსრელს, დასამიწებსა

ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო! ჩემს თავში
ტრიალებს ქარის წისქვილი...
ბევრს არ უნდოდა ეჭამა,
მაგრამა სჭამეს სირცხვილი.

—

ხალხის საქმეს ხელს ნუ ჰკიდებ,
ხალხის საქმეს ნუ დაიწყებ,
თვითონ კარგად რო გაძღები,
მშიერს კი ნუ დაივიწყებ.

—

საკუთარ ოჯახს რო იწყებ,
სახლს უნდა კარგად აგება...
არც შეშა, აღარც ნახშირი ..
...აფერუმ მომარაგება.

—

აბა, ვინ გიჟი გაუღებს
ზამთრის მსუსხავ ქარს, ფანჯარას...
ქემალი გაგვითამამდა,
ეარშიყება აჭარას.

—

აჭარას ბევრჯერ უნახავს
ქემალის მსგავსი „მხსნელები“,
ქუდ მოგლეჯილი გარბოდენ,
რჩებოდათ ფეხსაცმელები.

—

წვიმა რომ მოვა, აქა-იქ
ადგება მღვრიე ღვარია,
ღვარი მდინარედ ვით იქცეს.
რა ფუჭი საუბარია?..

—

ღვარს არ აქვს მიმართულება,
ღვარს არ აქვს თვისი გზა კვალი ..
ოსმალეთს გაუავდარდა.
და ღვარად იქცა ქემალი...

—

ავდარს კვლავ დარი მოყვება—
ეს ხომ ბუნების წესია.—
ქემალი იმას მოიმკის
რაც წინათ დაუთესია...

—

ჰო, ჰო, ჰო... ჭკუის გოგრაში
წისქვილი ახრაგუნდება...
რასაც ორ გროშსა ვშოულობ...
სულ ჩარჩ-ბაცაცებს უნდება...

—

თვალთ მიბნელდება რაღაცა!..
დავლურს უვლიან ქუჩები...
ზამთრის ფრთა-სველმა ნიავმა,
მთლად ამომწუწნა ტუჩები.

—

ცხვირში შემიძვრა და ტვინზე
სველი ფრთა გადამფარა...
დახუჭულ თვალთქვეშ აცეკვდა
შავ-შავი თხის და ცხვრის ფარა.

შექანჯალებული.

ცეცხლი



მოწყვეტილი სხივი მზისა!
ნიჟი მისცა ზენამ ვისა!
თვით სასიძო პირიმზისა
მაგიდასთან ლაღად ჰზისა
ლექსის წერად განამზადი
მრისხანე, ვით კატა ხვადი!!!
ზის ზვიადი და შუქმფენი,
ფუტურელთა დამამშვენი
ყანწელების მამა ბრძენი,
საქართველოს შესძღვნას ძღვენი—
აქვს მას მიზნათ დასახული
(თუმც შორს არის გაზაფხული!)



სამგზის შედრკა დედამიწა!!!
შესთხზა ერთი... და დაჰფრიწა!!!

— მუზავ! არ ხარ, შენ უბიწო,
გამეცალე! გამშორდი! წა!
უკუაგდო და გასტყორცნა
ისე რომ არც უძღვნა კოცნა!

სდგას ალვის ხე ქვეყნის თვალად,
სონეტებს თხზავს იგი კვალად,
სთხზავს ზანტურად, არ ხელმალად,
რითმებს ყურით ათრევს ძალად.
მარგალიტის ჯეფირს აწყობს
ის უცეცხლოდ სონეტს აცხობს.
გული თრთის ვით ვერცხლის წყალი,
ელვას აფრქვევს მგოსნის თვალი,

ლექსი ცხვება კვლავ... ახალი.
ცეცხლის არ სჩანს ნაპერწკალი.
და სთხოვს გრიგოლ: — შეითანო,
სთქვი, ცეცხლი ვით შევიტანო?



ეშმამ ეს არ გაიკვირვა...
მოყვსისთვის არ დაიძვირა,
მან ასანთის გაჰკრა წკირა
ალი სონეტს მიუღირა.
შეიტანა ცეცხლი მეტი!!
ლამის დასწვას მით სონეტი!

გურული სცენა

აკვირინე. ე, ბიჭო, პავლია, გეიხედე გარეთ ადექი, გავარდი გარეთ. შეჭამა ყურშიამ ვინცხა, ისე უყეფს, ადე, მეიცვალე ფეხი...

პავლია. აქით, ძაღლო, აქით!.. აქით, აქით შენ საცოფევ... მობრძანდი, მატრონე, მობრძანდი... მაგ საწელკავემ რეიზა ვერ გიცნო ახლა აჰ?..

აკვირინა (კაშოდის კარედ და მატრონეს შეხვდება) ღმერთო, მომკალი... მატრონე ბძანდები? ბეჩა, მაგ საწელკავე ძაღლმა რეიზა ვერ გიცნო მერე... (ძაღლს) შენ დაგახრჩო ცოფმა, შენ წუნკალო, შინაურს და გარეშეს რომ ვერ ცნობილობ... შენ გაგიჩთა ცოფი და იმან გადაგიტანა, ასე აგი... (მატრონეს) ჩემი სიკტილი ახლა... ხომ არ გიკბინა, ბეჩა, მაგ შეჩვენებულმა.

მატრონე. რეიზა იწუხებ, აკვირინე, ბეჩა ასე თავს, არაფერი არ უკპენია იმ ძაღლს ჩემდა, მარა, პავლიე რომ არ მომშურებოდა, ფურთხაშათ წეიღებდა ამ ჩემს ისედაც დაფურთხაშებულ ნაკაბეეს... მარა მაგის დარდი გაქ მერე... ძაღლს კი არა, კაცს არა აქ ჭკუა ახლანდელ დროში...

აკვირინე. არა, ახი ქეა ერთნაირათ რომ თქვას კაცმა, რავა, აღარ დაგიდგამს აგერ რამდენი ხანია ჩვენს ეზოში ფეხი და ძაღლს კი არა მე დამავიწყდა შენი სახე... აგერ შამობძანდი, აგერ ქუხნაში, რაცხა ფელამუშს ვადუღებ და მეშინია არ გადმეიაროს კარდალედან.

მატრონე. — ბეჩა, მეც მაგიზა მეეედი, ეგება აკვირინემ მისი უფროსი კარდალე მათხუოს მეთქინ და ახლა რაღაი, შენ ქე დაგიწყია ფელამუშის დუღება.

აკვირინე. ქე დევიწყე მარა, ქე გავათავებ, ხვალ საღამოს, გამომიგზანე შენი პაწე კოსმაიე და გამუატან... რაცხა ორი ღერი ჯანჯუხა მაქ ამოსარები, ამას რაც უნდა იყოს, ხვალ სა-

ღამომდი ქე გავათაᲒებ, ᲓᲦეს ტკპილს მუაპეტმეზებ და ხვალე ქე ამუარებ ᲯანᲯუხებს..,

მატრონე. რამდენ ღერ ᲯანᲯუხას აკეთებ ბეჩა წროულს?

აკვირინე. რამდენს და აი, ამას, რასაც ხედავ ქანდარაზე გაკიდულს: **ერთი ათი ცხრაი** შველის ყურა თხილის იქნება, ერთი ხუთი ცხრაი ჩინჩე თხილის, ისე ნიგოზის, ვაშლის პანტას და რა ვიცი ..

მატრონე. კაი ნახელავი კი იქნება ბეჩა, აკვირინე, Ჯვარი გიწერია ჩემი თვალიდან, ძაანი გამოგივა, აღარ უნდა მაგას ლაპარიკი... ტკპილის კვერს აკეთებ?

აკვირინე. აბა, აბა! ტკპილის კვერი რომ არ გუუკეთო მისი ᲮᲘრიმე ჩემს ვანᲮიას, გადამასახლებს აქიდან. იმას ვენაცვალე მე, მომწერა ქალაქიდან: ჩემი ნენე, ჩემი ძუძუეო, ტკპილის კვერები, შენ რომ იცი, შენებურათ, ისთე გამიკეთეო, აქანე მინდა საიასაღოთ წამევიღო თფილისშიო...

მატრონე. რეიზა არ გუუკეთებ, ჩემო აკვირინე იმისანა შვილს, შენ ღმერთმა შვილიც კაი მოქცა და ქმარიც... ჩემი ქმარი, კილფონე, აგერ, რაც შემოდგომა დადგა და სთველი დევიწყეთ, მას მერე სულ ღრინავს: აქანეო, ᲯანᲯუხზე და ფელამუშზე არ დამახარᲯვიო ყურძნის ტკპილი ამ სიძვირეშიო, ღვინოთ რომ გავყიდო, იგი მირჩევნიაო, შენო სხვების მიბაძვა არ გარგიაო... კი, მართალია, სხვებსავით ხელ მომთფარი არ ვართ, მარა, რავქნა, ბეჩა, ყველაფერი რაფერ ევიკძალო, ცოცხლითაი რავა მევიკლა თავი... ᲐᲕᲘᲐ თუ კაია, ჩემი შესაფერი მტერიც მყავს და მოყვარეც, ეგება ქე მესტუმრონ, ვოტკაზე დასაყოლებლად რავა არ უნდა გქონდეს ოᲯახის ქალს ორი ღერი ᲯანᲯუხა? თვითანც ქე გუუხარდება მერე, რომ გავაკეთებ, მარა, მანამდი ასე მეᲯიყᲯიყᲔᲑᲐ მერე, იცოცხლე, ერთ რუმკა ვოტკას არ დალევს ისე, რომ არ მომთხუოს: მეიტანე, ბეჩა, ერთი ღერი ᲯანᲯუხა გექნება სამეო... დამიწყებს ღლარᲯვას... მერე, იგი ციცაი, რომ მყავს, პაღასიე, ახლანდელ დროში, რავა ვიფიქრებ რამეს, მარა, ვინ იცის, კაცის საქმე, იქნება ქე შეხვთეს მისი ბედი... და ᲯანᲯუხა რავა არ ქონდეს კაცს სახში...

აკვირინე. არ გადირიო, ბეჩა, მატრონია, ყაძახს უყურებ? რა მაგენის საქმეა ᲯანᲯუხა და ფელამუში? მისი საქმე გეინკვლიონ უკეთესია... შენ რავარც გიქნია, ისე ქენი...

მატრონე. ისე ვიზამ, აბა. რაი, მარა, მაინც არ გესიამუნება კაცს ამისანე ამბავი. ციცამ, პაღასიამ წიწიბოის გალიე გააკეთა ამოსალებათ და მამა მისმა კინაღამ მოკლა; არ დამანახო მაგი აქანეო, მაგას ერთი ბათმანი ტკპილი მუუნდებაო, და მერე შიაᲩუმ ვინცხა ბალშენიკ ყაზილარᲩბსო.

აკვირინე. შენი პაღასიე კიდომ ბალშენიკობს მგონი, გუშხამ შიეკრიბა ქალები და რაცხა ახალი პარტია დგება ბალშენიკ ქალებიდანო და ჩიეწერეო მითხრა, კაღამ მოვკალი: უთხარი; ციცავ, დიეტიე შენდა, ბოლშენიკ ქალებს კი არა, კაცებს აფერი გუუკეთებია და შენ ან თᲐვს რას აცთენ და ან სხვას მეთქი...

მატრონე. რაუყო ბეჩა, თლად გადემერია იგი შეჩვენებული ციცე და იმიზა უფრო მინდა რომ დროზე გავათხოვდე, მეშინია, არ გევილანძღო, სულ კრებებშია, დღე და ღამე. ჩვენი საქართველოს პრავილები არაფერი **არ** მოსწონს, ლანძღავს ჩვენს მთავრობას, ამას შენ გეუბნები, თვარა რომ გუუგონ, არ Ძიცი რას უზამენ, იმისანა, იმისანა რამეებს ამბობს... მამა მისი აგერ, აგერ მოკლავს, ისეა გაკუპებული — მაზე...

აკვირინე. ყველამ დუუშლოთ, ყველამ გუუმტყუნოთ, აფერი მისი საქმე არ **არის** ბოლშენიკობა, იგი კი არა, თუ Ჩკუა აქ, ოᲯახში შეიხედოს, აგერ თქვენ მოგეხმაროს და თუ ბედი გამუუჩდეს, ქე ნუღარ ზომავს ბეკრს, ქე გიეთხუოს, რავა **პაწაი** ხნის კი არაა, ჩემი ვანოიეს კპილა ხომ იქნება და, იგი, მისი ᲮᲘრიმე, აგერ გიორგობისთვეში გაათავებს ოცდა რვა წელიწადს...

მატრონე. რავქნა, შენი ᲮᲘრიმე აკვირინე, განა თვითონ არ ვიცი ყველაფერი, მარა რომ შეედა ეშმაკზე, აღარ აპირობს ჩამოხტომას... უკაცრავათ, ბეჩა, თავი შეგაწყინე და საქმეზე მოგაცთინე. მშვიდობით ბძანდებოდეთ. შენი ᲮᲘრიმე, ხვალ საღამოს ბიᲩს გამოგიგზავნი, ჩემს კოსმაიას, გამუატანე კარდაღი და ქე გამოგიგზავნი მაღე, აფერს **არ** გიწყენ ..

აკვირინე. რატუმ მიკადრებ, მაგას, რა გაᲩქარებს, ნუ გეშინია ჩემსას არ ხარ ხშირი სტუმარი, დიᲦედი ერიცახე, აგერ გუშინდელი გაკეთებული ფელამუში მაქ და ერთი რომკა ვოტკა დააყოლე... დიᲦედი თუ ღმერთი გწამს... (მატრონ, Ჯდება, აკვირინე არაუს და ფელამუშს მოართმევს).

მატრონე. ბეჩა, რეიზა შეიწუხე თავი ახლა, ჩემი გულობიზა, ასე რომ მგონებოდა, რავა მეᲩიდოდი აქანა, მოგაცდინე და შეგაწუხე...

აკვირინი. უმადური გამყოფა ღმერთმა მაგის თქმიზა,—ასე, აგი... რატუმ იკადრებ მაგას... ᲰᲔ, მოკიდე ხელი ფელამუშს შენი კალფონე და პაღასიე ნუ მოგიკტება, გადაკარი მაი, ერთი რომკა ვოტკა. (მატრონე მ.ირთმევს ფელამუშს და არაუს და შემდეგ შინ წავა). შვიდო-

ბით ბძანდებოდე ჩემო აკვირინე, დიდი მადლობელი ვარ, უკაცრავათ რომ შეგაწუხე...

აკვირინე. შვიდობით მიმყოფა ღმერთმა შენი თავი, ჩემო მატრონე... შემოგიცდეს ფეხი, პაწა ხშირ-ხშირად ჩვენსას... ე, ბიჭო, პავლია, გაყევი ჭიშკრამდი მატრონეს. ძაღლმა არ უკბინოს.

ლუკაიეს ობოლე.

თავ-დაცული.

საფრანგეთი. დასწყევლოს ღმერთმა! ვაძრობ, ვაძრობ და ვერა გავაწყე რა! ე რა დონიერათ ჩაურჭვიათ იმ ოჯახქორებს!



საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია